№ 176 25 ღვინობისთვე, სამშაბათი 1866—1877 25 ღვინობისთვე, სამშაბათი № 176

ᲧᲝᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ზანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дрозба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულად, რუსულს, სომხურს და ასურ-ებრაულ ენებზე.
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ ასოებით ერთ სტრიქონზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ვიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

(ოფიციალური)

ᲕᲘᲖᲘᲜ-ᲥᲘᲝᲢᲘ, 18 ოქტომბრს. 2-ს და 3-ს ოქტომბერს ჩვენკენ ომში მოჰკლეს: მრევნის პოლკის შტაბს კაპიტანი მიხაილოვ-როსლავლევი; ქართული პოლკის შტაბს-კაპიტანი ზარაკოვსკი; დერბენტისა პოდპორ. მაცგერი; ელისავეტოპოლის მაიორი ილკევიჩი; ᲣᲘᲖᲚᲐᲠ-ᲑᲠᲔᲑᲔᲜᲘᲡ ᲧᲐᲖᲮᲗᲐ ᲮᲝᲠᲣᲜᲯᲘ ᲨᲘᲜᲙᲘᲜᲘ; ᲓᲐᲦᲔᲡᲢᲜᲘᲡ ᲫᲚᲘᲐᲜᲘ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲘᲠᲠᲔᲒᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲨᲢ.-ᲙᲐᲞᲘᲢ. ᲛᲐᲛᲐᲚᲝᲕᲘ. ᲛᲝᲰᲙᲕᲓᲜᲔᲜ ᲭᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ: ᲕᲝᲚᲒᲘᲡ ᲧᲐᲖᲮᲗᲐ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲙᲐᲛᲜᲓᲘᲠᲘ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲙᲠᲣᲒᲔᲜᲨᲢᲔᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲘ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲐᲞᲝᲠᲨᲩᲘᲙᲘ ᲙᲝᲕᲐᲚᲡᲙᲘ. ᲓᲐᲡᲐᲭᲠᲔᲡ: ᲛᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ: ᲤᲚᲘᲒᲔᲚ-ᲐᲓᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘ ᲞᲝᲓᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲨᲝᲜ-ᲓᲔᲠ-ᲜᲝᲠᲗᲔ, ᲛᲐᲘᲝᲠᲘ Თ. ᲞᲣᲢᲘᲐᲢᲘᲜᲘ, ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲡᲞᲘᲠᲝᲕᲘ; ᲞᲝᲠᲣᲩᲘᲙᲔᲑᲘ: ᲛᲐᲭᲣᲢᲐᲫᲔ, ᲡᲔᲠᲔᲓᲐ, ᲓᲐ ᲒᲠᲐᲤᲘ ᲥᲔᲚᲚᲔᲠᲘ; ᲞᲝᲓᲞᲝᲠᲣᲩᲘᲙᲔᲑᲘ: ᲕᲝᲚᲘᲐᲜᲡᲙᲘ, ᲗᲐᲕᲐᲓᲘ ᲗᲐᲠᲮᲐᲜ-ᲛᲝᲣᲠᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲛᲐᲚᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲞᲝᲠᲨᲩᲘᲙᲔᲑᲘ: ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ, ᲚᲐᲙᲐᲨᲘᲜᲘ, ᲤᲔᲘᲓᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲚᲘᲐᲛᲘᲜᲝᲕᲘ; ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ: ᲙᲐᲞᲘᲢᲜᲔᲑᲘ: ᲑᲐᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲣᲞᲝᲚᲝᲕᲘ; ᲞᲝᲓᲞᲝᲠᲣᲩᲘᲙᲔᲑᲘ: ᲖᲐᲘᲪᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲝᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲞᲝᲠᲨᲩᲘᲙᲘ ᲐᲜᲢᲘᲞᲔᲜᲙᲝ; ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲞᲠᲐᲞᲝᲠᲨᲩᲘᲙᲘ ᲜᲘᲙᲘᲢᲘᲜᲘ ᲞᲘᲐᲢᲘᲒᲝᲠᲡᲙᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲐᲤᲐᲜᲐᲡᲘᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲠᲣᲩ. ᲖᲝᲚᲝᲢᲣᲮᲘᲜᲘ; ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲢᲣᲛᲙᲝᲕᲡᲙᲘ; ᲓᲔᲠᲑᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ: ᲞᲝᲠᲣᲩᲘᲙᲘ ᲗᲐᲕᲐᲓᲘ ᲤᲐᲕᲚᲔᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲓᲞᲝᲠᲣᲩᲘᲙᲔᲑᲘ: ᲞᲔᲠᲔᲓᲔᲠᲔᲚᲘ, ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲨᲖᲘᲜᲘ; ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲗ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ: ᲞᲝᲓᲞᲝᲠᲣᲩᲘᲙᲔᲑᲘ: ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲞᲪᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲞᲝᲠᲨᲩᲘᲙᲘ ᲨᲕᲘᲓᲢᲘ; ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲞᲔᲠᲘᲡ ᲑᲐᲢᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲐᲞᲝᲠᲨᲩᲘᲙᲘ ᲠᲐᲜᲓᲔᲪᲙᲘ, ᲜᲘᲟᲔᲓᲒᲝᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲠᲐᲒᲣᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲞᲐᲠᲣᲩᲘᲙᲘ ᲔᲛᲘᲠ-ᲧᲐᲖᲘᲛ-ᲛᲘᲠᲖᲐ ᲓᲐ ᲕᲝᲚᲒᲘᲡ ᲧᲐᲖᲮᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲮᲝᲠᲣᲜᲯᲘ ᲤᲣᲡᲙᲐᲕᲘ. ᲖᲐᲙᲐᲬᲠᲔᲡ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲒᲘᲡ ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲑᲐᲢᲐᲠᲔᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲞᲠᲝᲖᲘᲠᲙᲔᲕᲘᲩᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ ᲙᲣᲩᲘᲜᲡᲙᲘ.

ᲕᲘᲖᲘᲜ-ᲥᲘᲝᲢᲘ, 23 ოქტომბერს. ᲦᲐᲛᲗᲐ ᲰᲐᲡᲡᲐᲜ-ᲙᲐᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ჩვენ ავიყვანეთ ტყვედ: 1 ფაშა და 120-მდინ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ სალდათი. მეორე დღეს ბრძოლის ველზედ და გზაზე ჩვენ დავმარხეთ 500-მდინ დახოცილი ოსმალო და ვნახეთ დიდ-ძალი დაგდებული თოფები და ტყვია-წამალი.

ᲧᲐᲠᲡᲘ სრულებით გარ-შემორტყმულია ჩვენის ჯარისაგან. დღეს ᲧᲐᲠᲡᲘᲡ სამხრეთ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ მხრით ჩვენ ვდგამთ ზარბაზნებს.

II

ᲓᲐᲦᲔᲡᲢᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲜᲓᲠᲘᲘᲡ მაზრაში ხალხის აჯანყება დამშვიდებულია; მაგრამ სამხრეთ-დასავლეთის მხრით აჯანყებულები გაჯიუტდნენ და ჯერ კიდევ თოფიარაღს არ ჰყრიან.

ᲑᲝᲒᲝᲢᲘ, 21 ოქტომბერს. ᲦᲔᲜ. ᲙᲐᲠᲪᲔᲕᲘ იწერება, რომ იმან ტეტებენი აიღო. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲡ ამ ბრძოლაში 100 კაცა ეზარალათ. ᲐᲛᲐᲡ გარდა დიდ-ძალი სურსათი და საომარი იარაღი ჩვენებს დარჩათ.

ᲓᲝᲚᲜᲘ ᲓᲣᲑᲜᲘᲐᲙᲘᲓᲐᲛ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ჯარმა პლევნოში დაიწია და ამის შემდეგ ეს გამაგრებული ალაგი ჩვენმა ჯარმა დაიჭირა.

ჩვენმა ქეევითა ატრიადმა ᲚᲣᲙᲝᲕᲘᲪᲘ აიღო ᲝᲠᲮᲐᲜᲘᲔᲡᲗᲐᲜ და შეექეთ-ფაშამკი ᲝᲠᲮᲐᲜᲘᲔᲡᲐᲙᲔᲜ დაიწია.

—

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 21 ოქტომბერს. ᲐᲮᲐᲚᲘ სამინისტრო ჯერ ვერ შემდგარა. ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲢᲘᲔᲠᲘᲡ მინისტრს ᲞᲣᲘᲔ-ᲥᲝᲠᲢᲘᲔᲡ მისცა მაკ-მაჰონმა სამინისტროს შედგენის წინადადება. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ეს სამინისტრო ისეთის „საქმის გაცებისაგან“ იქნება შემდგარი, რომელნიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნიანო.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 22 ოქტომბერს. ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ სამინისტროს გაზეთი ურჩევს მარშალ მაკ-მაჰონს, რომ ᲑᲐᲛᲑᲔᲢᲢᲐᲡ მიანდოს სამინისტროს შედგენა იმ განზრახვით, რომ ამნაირად დააფთხოს ზომიერი რესპუბლიკები და მმართებლობისაკენ მოიმხრონ ისინი.

—

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲗᲐᲜ ᲬᲧᲓᲔᲑᲐ ამ ჟამად ჩვენკენ ბრწოლის საქმე. ᲐᲥ ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲘᲜᲗᲐᲜ, როგორც ოფიციალურად ვიცით ერთის მხრით დგანან ის ჯარები, რომელიც, 3 ღვინობისთვეს ᲐᲕᲚᲘᲐᲠᲗᲐᲜ დამარცხების შემდეგ, გადარჩა მუხთარ-ფაშას, და ამას გარდა ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲘᲡ კორპუსი, რომელიც ასე მარჯვედ გაუსხლტა ხელიდამ ᲢᲔᲠ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲡ; მეორეს მხრით, ღენ. ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲘᲡᲐ და ᲢᲔᲠ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡ ატრიადები.

ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲘᲜᲘ, საცა ოსმალოს შეერთებული არმიები (მუხთარისა და ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲘᲡ) დგანან, მაღლობი ადგილია და, როგორც იწერებოდნენ, ძალიანაც გამაგრებული აქვთ ოსმალოებსაო.

ᲠᲣᲡᲘᲡ ჯარებმა, უეჭველია, სისწრაფით უნდა იმოქმედონ აქ, რომ მუხთარ-ფაშის არმიას მოსვენებისა და ᲐᲮᲐᲚᲘ ჯარების მოგროვებისათვის დრო არ მისცენ. ᲛᲐᲨᲐ სადამე საფიქრელია, რომ როცა ჩვენ ამ სტრიქონებსა ვსწერთ, ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲘᲜᲗᲐᲜ გაცხარებული ბრძოლა უნდა იყოს გამართული.

ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲖᲔ დამოკიდებულია ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ აღება და თითქმის მცირე ᲐᲖᲘᲘᲡ მთელი ბრძოლის საქმეც. ᲓᲔᲕᲔ-ᲑᲝᲘᲜᲘᲓᲐᲛ ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲐᲛᲓᲘᲜ ჩვენს ჯარს ვერა დაკავებს-რა, თუკი აქ გაიმარჯვეს, რადგან ამ მანძილზე ოსმალებს არავითარი სიმაგრე არა აქვთ.

—

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „Голосъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი კერძო ტელეგრამმა ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ-ᲞᲝᲚᲘᲓᲘᲛ 15 ღვინობისთვეს მიღებული:

„ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲐᲓᲘᲣᲢᲐᲜᲢᲘᲡ ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘᲡ მთავარი ჯარი მდ. ᲧᲐᲠᲡ-ᲩᲐᲘᲡ ნაპირებზე და ᲧᲐᲠᲡᲘᲡ გარშემო მთებზე დგას. ᲧᲐᲠᲡᲘ გარ-შემორტყმულია და ამ დღეებში ზარბაზნებს დაუშენენ.

„ᲦᲔᲜ. ᲢᲔᲠ-ᲚᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘ კვალში მისდევს ᲘᲖᲛᲐᲘᲚ-ᲤᲐᲨᲐᲡ, რომელიც აფუჭებს თავის ჯარისათვის მომზადებულ საჭმელ-სასმელს და საჩქაროთ მიდის ᲐᲠᲖᲠᲣᲛᲘᲡ მისაშველებლად. ᲦᲔᲜ. ᲖᲔᲘᲛᲐᲜᲘ კი თავის ატრიადით სოღალულზე გადადის იმ გან-

ზრახვით, რომ მტერს Არზრუმის გზა გადაუჭრას.

„Ბაიაზეთი ჩვენმა ჯარებმა დაიჭირა ხელ-ახლად. Უალიზმანისა და Თახთინის სანჯაყების მცხოვრებლების დაგვემორჩილნენ.“

—

Ზემოხსენებულსავე გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი სტრიქონები Იზმაილ-ფაშის უკან დაწვევის შესახებ:

„Მუხთარ-ფაშა 3 ოქტომბერს დავამარცხეთ. 7-ს Იზმაილ-ფაშამ დაიწყო თავის ჯარით უკან დაწვევა ასე, რომ Ტერ-Ლუკასოვს ვერცკი შეუნიშნავს ეს. Მხოლოდ ოთხ მეორე დღეს, 8-ს, გამოედევნ. Იზმაილ-ფაშას Ტერ-Ლუკასოვი.

„Ადვილად გასაგებია, რომ Იზმაილ-ფაშა ასე მოეჩქარება Მუხთარ-ფაშის არმიასთან შესაერთებლად და Არზრუმის დასაცველად; მაგრამ ჩვენ მოუთმენლად მოველით იმ გარემოების შეტყობა— თუ როგორ გაუშვა ის ხელიდამ ასე უენებელად და მშვიდობით ღენ. Ტერ-Ლუკასოვმა.“

—

„Რეიტერის Საგენტოში“ მოყვანილია 12 ღვინობისთვეს Არზრუმიდამ მიღებული ეს დეპეშა:

„Უარსიდამ მოვიდა აქ ამბავი, რომ 7 ოქტომბერს რუსები იერიშით მიადგნენ დასავლეთიდგან Უარსს და Ჩახმახის ციხის აღებაუნდათო, მაგრამ ჩვენ (ე. ი. Ოსმალებმა) უკუ-ვაქციეთ მტერიო.“

—

Ოფიციალურის ანგარიშით ამ თვის 13-მდინ Ევროპისა და Აზიის არმიის ველზე სულ 61, 942 კაცი არის რუსეთის მხრით დაჭრილ-მოკლული. Ამ რიცხვში არ არის მოხსენებული ჩვენი ზარალი Ავლიარის (2,000 კაცამდინ) და Ბორნი Დიუბნაკი (2,500) ბრძოლის დროს.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲡᲝᲤ. ᲡᲛᲝᲠᲔᲢ-ᲢᲠᲔᲡᲢᲔᲜᲘᲙᲐ (ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ), 3-ს ოქტომბერს („Დროების“ კორრესპონდენციᲘ) (Დასასრული).

26-ს აგვისტოს ბეჯითათ შაუდექით Პლევნოს აღებას. ჩვენ ამ დღეს ს. Ტუჩევიცში ვიდექით და მეორე დღეს, ესე იგი 27-ს მხოლოდ ზარბაზნით ბრძოლა იყო და კანტ-კუნტათ თოფითა. 29-ს წაეწიეთ წინ ს. Ბრესტვეცთან და შეიქნა გახურებული სროლა თოფისა და ზარბაზნისა.

ჩვენის მხრით ღენერალი Სკობელევი იყო, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა, რომ უეჭველათ სს. Ქაბინისა და Ბრესტვეცის შუა მარჯვენას მხრით რედუტი უნდა აეღო. Თოთხმეტი ათასი ქვეითი ჯარი ჰყვანდა, ისიც ნახევარზედ მეტი ყაზახის თათრობა, რომელთაც თითქმის უღალატეს კიდეც და რამთვენიმე სალდათი ოსმალებისაკენ გაიქცნენ; მაგრამ მაინც გულადათ მიუძღოდა ჯარს წინ თითონა და მართლაც აიღო ეს რედუტი მეორე დღეს 30-ს აგვისტოს. Ამ დღეს მოაწვა მთელის ძალით Ოსმალოს სამოცი ათასი კაცი (60,000); ორი საათი როგორც იყო შეიმაგრა თავი, მოითხოვა ერთი ბრიგადა ქვეითი ჯარი მომაშველეთო, მაგრამ ყური არავინ უგდო და ამ სახით დავბრუნდით უკან.

Მას დღეს ასეთ როგორც იმ ალაგს ეგრეთვე მარჯვენას მხრიდამაც უჭაჭუნებენ Პლევნოს დიდ ზარბაზნებს, მაგრამ საძრაობაც ეველარ უყვეს და იერიშით მისვლა (ატაკა) კი ვაგლახათ ეველარ გაუბედნიათ, რადგანაც საკმაოთ მიწვა ჩვენი ჯარი: 8,100 მარცხენას მხრით Მოკვდა ჩვენი ჯარი, 4,000 მარჯვენას მხრით. Ამათ რიცხვში 2,000 რუმინიისა.

7-ს ენკენისთვემდისინ ს. Უჩინდოლისა და Ბრესტვეცის გარეშემო ეტრიალობდით და 7-ს ენკენისთვეს კი გადაველით ქ. Სოფიის შოსეს გზაზედ და დავსდექით ერთი დღე ს. Ქნიაქნაში. 8-ს ენკენ. გადაველით ს. Სმორეტ-Ტრესტენიკში ვიდრე 12-ს რიცხვამდე.

12-ს ენკენისთვეს სხვათა შორის ცხენოსანის ჯარისა წაველით Დუნაის პირას ქ. Რაზოვას დასაზვერათ და აღმოჩნდა, რომ კარგათ იყვნენ გამაგრებულნი, მხოლოდ ცოტა ჯარით; დაუწყეთ რუმინიის ზარბაზნებით სროლა და ამ სახით დავბრუნდით უკან.

16-ს და 17-ს ს. Რიბნაში ვიდექით მდინარე Ვიტის მარცხენას მხრით.

18-ს დილით მარტო ჩვენი Ვლადიკავკაზის ყაზახის პოლკი, ოსებიანათ, წაველით Სოფიის შოსეს გზისკენ დასაზვერავათ და დავსდექით Ოსმალებისგნით დამზადებულ სანგლებზედ ს. ᲑორნიᲓუბნიკში.

19-ს წაველით წინა და დავსდექით ს. Რედომირის მარცხენას მხრით და დავანგრიეთ დიდი, თაღიანი ქვითკირის ხიდი მდინარე Პანეგაზედ. Ამავე დღეს ს. Ლუკოვიცთან შეგვექნა გახურებული სროლა ჩერქეზებთან და ბაშიბუზუყებთან, რომელთაც წავართვით ხუთასი სული ძროხა, შვიდასი ცხვარი, ასიოდე ცხენი და ოცი ურემი დადებული ბარგი ტანისამოსი და სახლის ავეჯულობა.

20-ს ენკენისთვეს დავყეეთ მდინარე Ისკრის ხეობას და ღამე ს. Ჩუმაკოვცაში ვიდექით.

21-ს ისევ უკან გავბრუნდით, მხოლოდ მეორეს მხრით მდინარე Ისკრისა, და მივველით ს Ბორნაში; აქ ასიოდე ჩერქეზი შემოგვხვდა, ცხრა მოვკალით, თერმეტიც მძიმეთ დაჭრილები დარჩნენ და დანარჩენები გაიქცნენ. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. Ამავე დღეს ს. Რეცელეცზედ გადავიარეთ, ბუმბერაზი ადგილი, სადაც შემოგვხვდნენ ჩერქეზები, მაგრამ სათოფეთ არ მოგვეკარნენ და გაეცქცნენ. Ამავე დღეს შუადღისას გადმოველით ს. Ლუკოვიცაში, დავწვეთ აქაც დიდი ხიდი და კვალად შეგვექნა სროლა ოღონდ რეგულიერნი (მუდმივი) ცხენოსან ჯართან, რომელთაც თექვსმეტი სროლითა აქვსთ თოფები დატენილი (magazinnыя ружья). Მაგრამ ვერც არას ესენი გახდნენ, ოცამდის მოვკალიდ და ეს აღნიშნული თოფებიც ჩვენ დაგვრჩა და სხვა იარაღიც ცხენებიანათ. Ამ დღეს ს. Ლუკოვიცაში დავდექით.

22-ს ენკენისთვეს გადმოველით ს. Რედომირცაში და მეორე დღეს იქ დავყავით.

24-ს დილით მოგვაწვა Სოფიიდამ თხუთმეტი ათასი (15,000) ქვეითი და ცხენოსანი, აგრეთვე უკანიდამ Პლევნოდამ მომავალი ჯარი, რომელნიც ორი ათას ავათმყოფს-დაჭრილებს და აცილებდნენ Სოფიისკენ. Დღე იყო ნისლიანი ასე, რომ ას ნაბიჯზედ ძლივს ერჩეოდა კაცი. Ამ სახით მოგვამწყვდიეს შუაში; დაუშინეთ თოფი და ზარბაზანი, გავიკაფეთ გზა, დავბრუნდით Იაკის ხეობაში და მოველით ს. Ჩუმაკოვცაში. Მოგვეიდა იმ ღამეს კარგი ორი გოჯი მეტი თოვლი და ასე ვიყავით შექცევაში საზაფხულოს ტანისამოსით...Ცამეტი ცხენი მოგვეკვდა სიცივეთ.

25-ს ენკენ. გადაველით ს. Მაღლანში და მეორე დღეც აქ დავრჩით. Არც აქ გამოუდარნია, თოვლი და წვიმა აღმოსავლეთის ქარით განუწყვეტელათ ზუზუნებდა. Ოსმალების ჯარი და დაჭრილები, რომელნიც ჩვენ დავსტოვეთ Რედომირცაში, თურმე ძალიან შევიწროებაში არიან. Ცხრა Ოსმალო მოიყვანეს ჩვენმა რაზიეზდმა და იმათ გვიამბეს. Აი ამ ალაგას იყო საჭირო, რომ სულ უკანასკნელათ ერთი ბრიგადა ქვეითი ჯარი მაინც ჩაეყენებინათ ჩვენებს, თუ კი უნდოდათ ოსმალების გაქცევა...

27-ს გადმოველით ისევე Სმორეტ-Ტრესტენიკაში დასასვენებლათ.

Მაგრამ 1 ოქტომბერს გვიკრეს თავი და ისევ Მაღლანისკენ გაგვიძახეს იმ მიზეზისათვის, ვითომც Ოსმალოს ჯარი მოდისო ჩვენს ცხენოსანს ჯარზედ და ჩვენც მივეშველენით ჩვენს პიზია გუსარებს და ულანებს. Ამავე დღეს გადმოვყეთ ს. Ბორნი-Დუბნიკსა და Ოსმალოს ქვეითი ჯარი ბრძანდებოდა გამაგრებული თავიანთ სანგლებში, რომელშიაც თვრამეტ ენკენისთვეს ჩვენც ვიდექით. Აქედამ დავბრუნდით და ისევ Სმორეტ-Ტრესტენიკში მოველით და შემდეგ ამისა რა შეგვემთხვევა, ის ღმერთმა უწყის.

პლევნოში ოსმალოს ჯარი მართალია ძალიან შეწუხებულები იყვნენ შიმშილით, მაგრამ თხუთმეტი ბატალიონი ქვეითი ჯარი, ორი პოლკი ცხენოსანი თავიანთ ზარბაზნებიანათ ს. ზორნი-დუბნიკიდამ მოკიდებული შოსეს გზის პლევნოდამ მარცხენა მხრის სოფლებში მოჰფენოდნენ და ორმოცი ათასი ურემი ხორბალი, ქერი, სიმინდი, თივა და სხ... მრავალი შეიტანეს პლევნოში და ცოტა არა იმედი მიეცათ გამაგრებისა და შიმშილი ვაგლახათ ველარა დააკლებს. ვნახოთ როგორ და როდის ავიღებთ პლევნოს!...

ზ. ზრემელი

—

ფრანცუზულ გაზეთს „Le Temps“-ში დაბეჭდილი კორრესპონდენცია გვაცნობებს, რომ სულეიმან-ფაშის არმიას ძალიან გამაგრებული ალაგები უჭირავს მდ. ყარა-ლომის ნაპირებზედ და ამ მოკლე ხანში აქ ბრძოლას მოელიან რუსის (მემკვიდრის) არმიასთანო.

—

ზოგიერთს ნემეცურს გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, ვითომც სულეიმან-ფაშას ოსმალოს არმიიდამ დაეთხოვოს ყველა ინგლისელი აფიცრები, რომელნიც ამ არმიაში მსახურებდნენო. ლონდონის გაზეთი „Standard“ გვაცნობებს ახლა, რომ ეს ამბავი ტყუილი ამბავი არისო.

—

ინგლისური გაზ. „Daily Telegraph“ გვაცნობებს 9 ოკტომბერს დაბეჭდილის დეპეშით:

„ოსმან-ფაშამ გამოგზავნა პლევნოდამ ყველა ბოლგარიელები და აგრეთვე მაჰმადიანები, რომელთაც ხნოვანობისა ანუ ავათმყოფობის გამო თოფის ხმარება არ შეუძლიანთ.

„ზუშინ მოვიდა პლევნოში ერთი ბატალიონი სტამბოლის სოფტებისაგან (სტუდენტებისაგან) შემდგარ ჯარისა, რომელთაც მოიტანა თან რამდენიმე ათასი წყვილი საზამთრო ტანისამოსი ჯარისათვის.

საქართველო

დღიური

*** რუსულს გაზეთს „Новости“-ში თემირ-ხან-შურიდამ იწერებიან, რომ რადგან ლეკების თავ-დასხმის შიში არის, ამის გამო აქაურ ხალხს მთავრობამ თოფები და ტყვია-წამალი დაურიგა. მარტო თემირ-ხან-შურის პროგიმნაზიაში 30 თოფი დარიგდაო.

*** ამბობენ, რომ მცირე აზიიდამ გადმოსახლებულ სომხების 800 ოჯახს მთავრობის განკარგულებით, ბოქჩის ტბის ნაპირზე ეძლევათ დასასხლებელ მიწა-წყალიო.

*** ზუშინ წინ კვირას, საღამოს რვის ნახევარზე, დიდ ძალი ხალხი მოგროვილიყო ბულვარზე ბუჭყიევისა და მდივანის მაღაზიების წინ, სადაც უიმისოთაც მუდამ დასეირნობს ხალხი; და ერთი ჩოჩქოლი და ლაპარაკი იყო. ამ ხალხის გროვის მიზეზი ის იყო შემდეგ:

მანკელოვის მაღაზიის ქვევით ზედ ქაშვეთთან ერთი მენახშირე მონავალა. ამას დასცემია ოთხი ვიღაც ჩერქეზიანი ავაზაკი, რომელთაც უტაცნიათ იმისთვის ხელი და ვერცხლის ქამრის წართმევა განუზრახავთ. მაგრამ მენახშირე არ დანებებია; ავაზაკებს ხანჯალი; უხმარიათ; დაუკრავთ ერთი, მენახშირე გაქცეულა ბულვარისაკენ, ავაზაკები გამოსდევნებიან, ერთიც კიდევ დაუკრავთ ხანჯალი და ორჯერაც რევოლვერის ტყვია მიუყოლებიათ. თავ-გაჩეხილი მენახშირე ამოვარდნილა ბულვარზე ყვირილით, „მიშველეთო!“ და ავაზაკებს კი მშვიდობით ბაღზე გაუვლიათ და წასულან.

ნახევარი საათის შემდეგ ამ შემთხვევისა გავიარეთ ჩვენ ბულვარზე მთელი ტროტუარი მანველოვის მაღაზიის წინ სისხლით იყო მოსვრილი.

სად იყო ნეტავი, ამ დროს ჩვენი პოლიცია?!

„დროების“ კორრესპონდენცია

დ. ხონი, 10 ოკტომბერს. ამ უკანასკნელმა ნახევარ წელიწადმა მხიარულათ არ ჩაიარა როგორც საზოგადოთ მთელი იმერეთისათვის, აგრეთვე ჩვენი ხონელებისათვისაც. ნამეტნავათ საძაგელ მდგომარეობაში ჩააგდო საბრალო დაბალი ხალხი. ამ თვეებში მათ ოჯახობას მოედო ის საზოგადო სენი, რომელსაც თითქმის ყოველი კუთხიდამ უჩიოდნენ (წითელა და მუცელა); ამ თვეებშივე შამოუვიდათ ნამუშავრის სიძვირე: ამ თვეში მათს პირუტყვს დაერია კიდევ მეორე საზოგადო ჭირი და ამავეს რომ კიდევ დავსძინოთ შინაური ორ ფეხის ჭირი — როგორათაც ქათმის, ინდაურის და ბატის, მაშინ უფრო კარგი წარმოსადგენი იქნება მათი სიწყალი მდგომარეობა.

ბევრი იმსხვერპლა, განსაკუთრებით ბავშვები, იმ შეჩვენებულმა მუცელამ და არც ნაკლები მისმა „ძალათ-ექიმებმა: ბარქაიამ და მეტი გვარი ჯაკუშვილი, ხარაზოვმა და ექიმბაშმა და წინასწარმეტყველმა პუჭავამ. მაგრამ ამათ ვინაობაზედ და მათს ცრუ ექიმობაზე სხვა უფრო მარჯვე დროს მოგახსენებთ. ხონის არე-მარეზედ ძვირათღა გაიგონებთ აკვნის ბავშვის ჭყივილს. მაგრამ არც დიდრონებისათვის დაუკლია ჭირი.

ახლა მოუბრუნდეთ ისევ ცოცხლებს და მათს მოქმედებას. მე მახსოვს, ამ ორი-სამი წლის განმავლობაშიდ, აქ ხონში აპირებდნენ წყლის გამოყვანას, რომელიც დიდს და გამოუთქმელს სარგებლობას მოუტანდა აქაურ მცხოვრებლებს რადგანაც ეს ჩვენი პატარა ქალაქი მოკლებულია წყალს.

ამ საგანზედ, როგორც მახსოვს, პროექტიც დააწერინეს უ. ზ. ქ—შვილს; მაგრამ რა იმოქმედა ამ პროექტის დაწერამ არც არა ვიცით და არც არა სჩანს. მხოლოთ ეს კი მახსოვს, რომ ამ დროს შექნეს ერთი აყალ-მაყალი და ვაი ვაგლახი. ზოგი ამბობდა, რო ამ მომავალ გამოსაყვან წყალზედ შესაძლებელი იქნება წისქვილები გაკეთდეს და თუ მომეტებული ნაწილი დამენიშნება, მაშინ დავთანხმდებიო; ეს რომ ახლანდელთა წისქვილების მეპატრონეებთა გაიგეს, იმათ რასაკვირველია, თავის მხრით მოიწადინეს რითაც შეიძლებოდა, რომ ამ მომავალს წყალს უეჭველად მის ეზოში გაევლო; ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას, და ყველა ამისთანა მოთხოვნილების გამო კიდევაც მოიშალა ჯერ-ჯერობით ეს სასარგებლო საქმე.

მთელი ხონის დუქნები და სახლები თითქმის ხის შენობაა, და ერთი ცეცხლი რომ გაჩნდეს, ისე გადაიწვება მთელი ქალაქი, რომ ერთ მეჭა წყალსაც ვერ იშოვნიან გასაქრობათ. თუ სხვა არა, ეს გარემოება მაინც უნდა მოიგონონ ხონელებმა და ერთი რამ მოახერხონ წყლის გამოსაყვანათ მით უფრო, რომ ეს ძვირად არ დაჯდება.

X

ნარევი

ამ რამდენიმე დღის წინათ პარიჟში მოკვდა ერთი შეძლებული ვაჭარი, რომელმანც თავის ჭირის-უფლებს ანდერძში სთხოვა, რომ მე, უეჭველად, იმ ჩემს ზანდუკში ჩამდევით, რომელმანც სამჯერ შემომატარა მთელი ხმელეთი, და ისე დამმარხეთო. ნათესავებმა მოინდომეს მიცვალებულის უკანასკნელი ნების ასრულება, მაგრამ პატრებმა არ მისცეს ნება და ამის გამო იძულებული შეიქნენ, რომ უბრალო კუბოში ჩავდვათ და ისე დაესაფლავებინათ. ზანდუკი კი მაინც საფლაოში ჩაატანეს:

***

ერთ ბერლინელ ნემეცს ძაღლი ჰყავდა. რადგან ეს ძაღლი დაბერებული იყო და პატრონსაც მობეზრდა, დაღრჩობა მოინდომა. ჩაჯდა ნავში, მოაბა ყელზე თოკით დიდი ქვა ძაღლს და როცა შუა წყალში შეცურა, გადააგდო. ძაღლი, რასაკვირველია, დასძირა წყალმა; მაგრამ თოკი გაწყვეტილიყო და ცოტა ხანს შემდეგ ძაღლმა ამოცურა და პირ-და-პირ თავის პატრონის ნავი-

საკენ გამოსწია. სამჯერ ჰკრა ამან ხელი და გაისროლა შუა მდინარისაკენ. მეოთხეჯერ ერთობ შორს გადაწვდა, ნავი გადუბრუნდა და ეს კაციც წყალში ჩავარდა. ძალმა, მოძულებულმა, იმ წამსვე სტაცა კბილები თავის უგულო პატრონს და იმდენი ეწვალა, რომ ნაპირზედ ეაათრია...

* * *

ამერიკიდამ იწერებიან, რომ იქითკენ წელს ისეთი უხვი მოსავალი არის სინინდისა, რომ არა თუ მარტო ამერიკის ქვეყნებს, მთელს ევროპასაც ეყოფა არაყის გამოსახდელად და სხვა ყოველ-გვარი საჭიროებისთვისაო.

განცხადებანი

მიეცემა

სასეხსეგელი ფული

იმ პირობით რომ მოვალემ **მუდამ კვირას ანუ თვეში** გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან, ვორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

(3—1)

სხვა-და-სხვა ღირსებისა და გვარი ძაღალდები

შეიძლება იყიდოს მსურველმა ვილიამინოვის ქუჩის კუთხეში, გაზეთის „კავკაზის“ კანტორის გვერდით, ხოსროვის სახლებში.

(3—1)

ქუთაისში, გუბერნიის ტიპოგრაფიაში **იბეჭდება** და ამ დღეებში გამოვა

„ცოლი თუ ბინდა, ეს არის“!

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი **ვას. აბაშიძისა.**

ქართული სახალხო სიმღერები

შეგროვილი და გამოცემული

ზაქ. ჭიჭინაძისაგან.

წიგნი პირველი.

ფასი ყველგან ერთი შაური

იბეჭდება და მალე გამოვა

ლექსი

თ. ი. ზ. ჩოლაყაშვილის

გარდაცვალებაზედ

თავის სურათით

თქმული

დავით ბივიმვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

ფასი ყველგან ორი შაური.

ბ ლ ო ვ ა

ირაკლი მეორისა

თქმული სოლომონ მსაჯულისაგან

ბამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან

ისყიდება ვართანოვი წიგნის მაღაზიაში„

ფასი ერთი შაური

მასწავლებელს ქალს ჰსურს აიყვანოს ყმაწვილები მოსამზადებელად პირველის და მეორის კლასისათვის.

ადრესი: მთაწმინდის ქუჩა, **საბინ-ბუსიის** სახლებში, **№ 13.**

„ყარამანიანი“

ბ ა ე ო ვ ი ლ ა და ისყიდება, ტფილისში: **მელ ქიშვილ**ის სტამბაში და სხვა წიგნი მაღაზიებში. სპარსულ იდგან ქართულს ენაზე ნათარგმნი თავის სურათებით. ფასი 40 კაპ. (ორი აბაზი). **ა**გრეთვე ისყიდება ზემოხსენებულ ადგილებში I, II, III, და IV კარი ყარამანიანისა.

ქ უ თ ა ი ს შ ი: გუბერნიის სტამბაში სეიმონ ჩომახიძესთან.

თ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, **წინამძღვაროვის** სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, **დილის** 8 საათიდამ **დილისვე** 10 **საათიდან.**

ო რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი **მინკ**ევიჩი — **ხირურგიულ** ავთმყოფობისათვის, **ბ**არ**ულ**ევი და **ა**ლისაცევი — **შ**ინაგანი ავთმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: **ვ**ერმიშევი და **მ**არკაროვი — **შ**ინაგანი ავთმყოფობისათვის, **თ**ამამშევი — **თ**ვალის ექიმი.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: **ლ**ისიცევი — **შ**ინაგანი ავთ-მყოფ., **ქ**იუჩარიანცი — ვენერიული ავთმყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: **ვ**ერმიშევი — **შ**ინაგან ავთმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: **ლ**ისიცევი და **ა**სატუროვი — **შ**ინაგანი ავთმყოფობისათვის და **მ**ინკევიჩი — **ხ**ირურგიულისთვის.

შ ა ბ ა თ ს: **ვ**ერმიშევი და **მ**არკაროვი — **შ**ინაგანი ავთფმყ ფი., **ქ**იუჩარიანცი — **ყ**ურის და **ხ**ირურგიულ ავთმყოფობისათვის და **თ**ამამშევი — **თ**ვალის ავთმყოფობის

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის **კუდრი** (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, **რ**ომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფ ა ი — გ ა მ ო მ ბ ე ლ ი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ეიც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—145

რკ. გზა.	**დილა.**		**საღამ.**		**II კ.**		**III კ.**	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-**ს**ენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-**ს**ენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტ ე ლ ე ბ რ ა ფ ი

	მ.	**კაპ**
ოცი სიტყვა **თ**ფილისიდამ:		
ქუთაისს, **ფ**ოთს . .	1	—
ბორს, **დ**ონეთს, **ს**ილნალს	-	50
رოსტოვს, **ო**დესას, **მ**ოსკოვს	2	—
პეტერბურგს, **ვ**არშავას . .	2	—
ოსმალეთში, **შ**ვეიცარიაში	3	—
იტალიაში და **ს**აფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფ ო ლ შ ტ ა

ა) **თ**ფილისიდამ: **ს**ამზღვარ[illegible] **ر**ეთ, **ქ**უთაისს, **ر**უსეთს — **ყ**ო[illegible] **ق**ვირას **გ**არდ. **ზ**უგდ. **ო**რშ. [illegible] **ო**ზურ. — **პ**არასკ. **დ**ა **ო**რშ. **ქ**ახ[illegible] **ს**ამშ. **დ**ა **შ**აბ. **ბ**) **ქ**უთაისი[illegible] **თ**ფილისისა **დ**ა **ფ**ოთისაკენ — **ყ**ო[illegible] **ق**ვირას **გ**არდ. **ო**ზურგეთს — **ო**რშ. **დ**ა **პ**არასკ.

წიგნის **გ**აგზავნა **ر**უსეთში **დ**ა **ს**ამზღვარ **გ**არეთ:	**კ**აპ
ლია **წ**იგნის	4
დაბეჭდილის (**ს**ამი **მ**ისხალი) .	8

ბ ი რ ჟ ა	**მ**ან.	**კ**აპ
პეტერბურგი, 20 **ღ**ვინობ.		
ერთი **ა**ნგლიური **ლ**ირს:		
ლონდონში 24 **პ**ენსი.	—	78
პარიჟში 250 **ფ**ანტიმი.	—	81
სასკონტი (**ს**ა**რ**გებ**ლ**ისფასი)	7½	—
ბანკის **ბ**ილეთი 5%	94	50
მოგებიანი (**პ**ირველ**ი**ს**ხ**�sმ.)	207	25
მოგებიანი (**მ**ეორ**ე** **ხ**ესხ.)	202	50
ბირაოს **ფ**ურცლები:		
თფილ. **ს**ა**ზ**ნ. **ბ**ანკის	—	—
ხერსონის **ბ**ანკის (5½)	85	25
მოსკოვის (5%). . .	85	50
ა ქ ც ი ე ბ ი:		
ოდესის **ს**ავაჭრო **ბ**ანკის	177	—
ფოთი-**თ**ფილ. **რ**კინ. **გ**ზის	—	—
შავი **ზ**ღვის **ც**ეცხ. **გ**ემ[illegible]	527	—
ქავკაზის **დ**ა **მ**ერკ**ურ**ი[illegible]	225	—
პირვ. **ს**აზღვევ. **ს**აზ[illegible]	745	50
პეტერბ. **ს**აზღვევ. **ს**აზ.	235	50
მოსკოვის **ს**აზღვევ. **ს**აზ.	268	—

მ ა ზ ა ნ დ ა	**მ**ან	**კ**აპ
თფილისი, 24 **ღ**ვინობ.		
ფქვ. **თ**ეთ. **ბ**ანჯ**ი**ს, **ფ**უთ.	1	90
ფქვილი **წ**ითელი . .	1	45
ქერი **ფ**უთი[illegible] .	1	25
ბამბა **ბ**ერ[illegible]ნ**ი**ს, **ფ**ut .	8	20
— **ა**მ**ბ**ერ**ი**კ**ი**ს, **ფ**ut[illegible]	8	50
ბა**პ**ენ**ტ**ილი **ბ**ამ**ბ**. **ფ**	9	50
მატ**ყ**ლი **ფ**უ**შ**ურ[illegible] .	7	—
— **თ**ა**ო**ჩ**ქ**ა**ზ**ი**ს**ა **ფ**ut. .	3	50
აბრეშუმი **ნ**უ**ხ**ური **ს**ტ.	3	—
ქონი, **ფ**უთი. . .	5	80
ქონის **ს**ანთელი **ფ**უთი.	8	—
სტეარინის **ს**ანთელი, **ფ**.	12	54
ხორცი **ძ**ო**ხ**ისა, **ლ**იტ.	—	54
— **ც**ხ**ვ**რ**ი**ს**ა, **ლ**ი**ტ**ra .	—	63
სპ**ი**რ**ტ**ი, **ბ**რ**ა**ნ**დ**ი**ს**ი .	—	12
შა**ქ**ა**რ**ი, **ბ**ro**ც**. **ფ**უ**თ**ი .	8	20
— **ფ**ხ**ვ**ნ**ი**ლ**ი **ფ**უ**თ**ი . .	7	20
ყა**ვ**ა **გ**რ**ბ**ე**ვ**ა**ლ**ი, **ფ**უ**თ**ი .	26	—
ზეი**თ** **ქ**ონ**ჯ**უ**თ**ი**ს**ა **ფ**ut.	12	—
ოქ**რ**ო ½ **ი**მ**პ**ერ**ი**ალ**ი**. .	8	28

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Октября 1877 г. Типографія Меликова. **ბ**ამ**ო**მ**ც**ემ**ელ**ი **ს**. **მ**ელ**ი**ქ**ი**შ**ვ**ილ**ი**. **რ**ედ**ა**ქ**ტ**ო**რ**ი **ს**. **მ**ესხ**ი**.